საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 2734 2019 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

„კასპის ქარის ელექტროსადგურის“ პროექტის კონცეფციის მოწონებისა და თანმდევი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ საქართველოს მთავრობასა და სს „კავკასიის ქარის კომპანიას“ შორის 2017 წლის 4 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმიდან (მისი ცვლილებების გათვალისწინებით) გამომდინარე, სს „კავკასიის ქარის კომპანიამ“, საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარადგინა „კასპის ქარის ელექტროსადგურის“ მშენებლობის, ფლობისა და ოპერირების შესახებ წინადადება, ელექტროენერგიის გარანტირებული შესყიდვის პირობით („საინიციატივო შეთავაზება“).

2. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია სს „კავკასიის ქარის კომპანიის“ („კერძო ინიციატორი“) „საინიციატივო შეთავაზების“ საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ „კასპის ქარის ელექტროსადგურის“ პოტენციურ

საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად იდენტიფიცირების თაობაზე.

3. მოწონებულ იქნეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ პოტენციურ საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტად იდენტიფიცირებული „კასპის ქარის ელექტროსადგურის“ პროექტის კონცეფცია.

4. „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 17 აგვისტოს №426 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო და კერძო თანამშრომლობის პროექტის შემუშავებისა და განხორციელების წესის“ 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ მოსთხოვოს სს „კავკასიის ქარის კომპანიას“ („კერძო ინიციატორი“) „კასპის ქარის ელექტროსადგურის“ პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელების უზრუნველყოფა (კვლევების მომზადება), საჯარო და კერძო თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაევალოს ამ განკარგულების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოსამზადებელი სამუშაოების (კვლევების მომზადება) თაობაზე საქართველოს მთავრობასა და სს „კავკასიის ქარის კომპანიას“ („კერძო ინიციატორი“) შორის ხელშეკრულების გაფორმების უზრუნველყოფა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**